საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/12

ქ. ბათუმი **30** **იანვარი, 2020 წ.**

2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №06-01/70 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'' , ,,2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 იანვრის №01-02/02 ბრძანების, ,,2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 იანვრის №01-02/03 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2019-2020 სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრში** ბსუ-ს სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების (გარდა ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისა) სწავლის **სემესტრული საფასურის** გადახდა **(ადმინისტრაციული რეგისტრაცია)** შესაძლებელია განხორციელდეს **3 (სამ) ეტაპად**, შემდეგნაირად:

ა) I ეტაპზე სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 50% - 2020 წლის 15 თებერვლის ჩათვლით, ხოლო 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის წესით ჩარიცხული პირების მიერ - **2020 წლის 24 თებერვლის ჩათვლით;**

ბ) II ეტაპზე სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 30% - 2020 წლის 13 აპრილის ჩათვლით;

გ) III ეტაპზე სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 20% - 2020 წლის 25 მაისამდე.

2. სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, სპეციალობა, კურსი. იმისათვის, რომ გადახდილი სწავლის/კრედიტების საფასური ავტომატურად აისახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბანკში საბილინგო სისტემა. გადახდა ასევე შესაძლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატებისა და ელექტრონული გადახდების სისტემებიდან.

3. ბრძანება **საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს** უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ფაკულტეტების და კანცელარიასთან არსებულ, ასევე 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდების ჩატარების ადგილზე საინფორმაციო დაფებზე და სტუდენტურ პორტალზე (დაეგზავნოს სტუდენტებს შეტყობინებები).

4. შესაბამისი სტრუქტურულმა ერთეულმა (ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, კანცელარია და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტში აღნიშნული წესით საჯარო გამოცხადება.

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**